2024 წლის II კვარტლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

/2024 წლის 1 აპრილი - 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, 2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის **72** მოთხოვნა, საიდანაც **58** შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო 1**3** შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან:

- **5** შემთხვევაში ინფორმაცია არ იყო მოთხოვნილი დადგენილი ფორმით, რის გამოც დადგინდა ხარვეზი, რომელიც განმცხადებლების მიერ არ შეივსო. შესაბამისად, მოთხოვნები დარჩა განუხილველად, განმცხადებლებს გაეცათ დასაბუთებული პასუხები და განემარტათ გასაჩივრების წესი.
- **8** შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ იყო დაცული.

1 მოთხოვნის განხილვა მიმდინარეობს.



საჯარო ინფორმაციაზე უარის გასაჩივრება

2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, საჯარო ინფორმაციის გაცემის 1**3** მოთხოვნაზე მიიღო უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა

2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტს“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა არცერთი თანამშრომლის მიმართ.

ხარჯები

- ✓ საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (დოკუმენტები მოთხოვნილი და გადაცემული იქნა ელექტრონული ფორმით).
- ✓ არ წარმოშობილა გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი.

გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლის ვინაობა

2024 წლის 10 იანვრიდან დღემდე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ლიკა კობალაძე, შესაბამისად, სწორედ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის გაცემის/გაცემაზე უარის თქმის შესახებ.
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - office@pdps.ge და foi@pdps.ge.

საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე (pdps.ge) განთავსებულია გადაწყვეტილებების რეესტრი (https://personaldata.ge/ka/decisions), სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია ფიზიკურ პირთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.